№ 1. 8 (12) იანვარი 1871 8 (21) იანვარი № 1.

გაზეთის ფასი

თფილისში და გარეშე ადგილებში:

| | გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 მან. |
| ნახევარის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 |
| ერთის თვისა | 1 — | „ — 75 კ. |
| ცალკე ერთის ნომრისა | | „ — 15 კ. |

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — გ. ქალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან გაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახ.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

## ხელის—მოწერა „დროებაზე“ შეიძლება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში.

ქუთაისში — გერასიმე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლუარსაბ ლოლუასთან.

თფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-º.

### ხელ-მოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ: მან. | კაპ. | გაგზავნით: მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ერთის წლისა თფილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში | 6 | „ | 7 | „ |
| ნახევრის წლისა | 3 | 50 | 4 | „ |
| სამის თვისა | 2 | „ | 2 | 50 |
| ერთის თვისა | „ | 75 | 1 | „ |

### შინაარსი:

განცხადება „დროების“ გამოცემაზე 1871 წელსა.—საქართველო: ჩვენ კორრესპონდენტებს.—წვრილი ამბები.—რუსეთი: წვრილი ამბები.—ომის ამბები.—უცხო ქვეყნები:—საფრანგეთი,—ესპანია,—ინგლისი,—იტალია.—ტელეგრამმები.—ნარევი.—სხვა და სხვა განცხადებები.

ფელტონი: ჩემი სამახსოვრო წიგნიდგან. ნ. სკანდელისა.

ამ დღეებში გამოვიდა თფილისში ახალი ქართული წიგნი, სახელათ „კრებული“, რომელიც შეიცავს სხვა და სხვა ორიგინალურ და ნათარგმ სტატიებსა და მოთხრობებს. ეს წიგნი ახალწელიწად დღეს დაურიგდა უფასოთ ჩვენი გაზეთის ქალაქელ ხელის-მომწერლებსა; შემდეგი ფოჩტით „კრებული“ ყველა დანარჩენ „დროების“, ხელის მომწერლებს გაეგზავნება, აგრეთვე უფასოთ.

# საქართველო

## ჩვენ კორრესპონდენტებს

მგონია, მთელ დედა-მიწაზე არ მოიპოვება ეთი განაწილება და განცალკევება ხალხისა, როგორიც ჩვენს საქართველოშია; მგონია, მერე მაგალითი ვერ მიჩვენოთ, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველო, ამდენ პატარა ხალხებათ და ქვეყნებათ იყოს დაყოფილ. უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ოცი სხვა და სხვა სახელის ხალხი მაინც სცხოვრებს ჩვენ პატარა საქართველოში. მე ვსთქვი „სხვა და სხვა სახელის ხალხი“ მეთქი და არა-ტომისა. მართლაც, ვინ არ იცის, რომ უმეტესი ნაწილი ამ წვრილი ხალხებისა ხასიათით, ენით, სარწმუნოებით და ჩვეულებებით, ნამდვილი ქართველნი არიან? მაგრამ ერთს ჰქვია ქართლელი, მეორეს კახელი, მესამეს იმერელი, მეოთხეს გურული, მეხუთეს მეგრელი, მეექვსეს თუში, მეშვიდეს ფშავი, მერვეს ინგილო და სხ. თითეულ ამ პატარა ალაგების მცხოვრებს, რომ ჰკითხოთ—ვინა ხართ თქო?—არასოდეს არ გეტყვისთ—ქართველი ვარო! ქიზიყის ქართველი უსათუოთ გეტყვისთ—ქიზიყელი ვარო, თუშეთის ქართველი—თუშელი ვარო, სამეგრელოს—მეგრელი ვარო და სხვ. სახელი რა არის? მისაც რა უნდა, დაირქვან! სახელი ფუჭი ხმაა. მაგრამ, შესანიშნავი ის არის, რომ ეს მხარეები, რომელნიც ერთ დროს ერთ ოჯახს, ერთ ხალხს შეადგენდნენ, ახლა ყველაფერში დაშორებულნი არიან ერთმანეთზე: კახელი სრულებით ვერ იცნობს იმერელს, იმერელი ქართლელს, ქართლელი თუშს, ქიზიყელი ფშაველს და სხ. ვის არ უნახავს—როგორ ეუცხოებათ იმერლები, მაგალითად, თფილისში: საწყალი იმერელი ისე ვერ გაივლის ბაზარში, რომ ერთი თხუთმეტჯერ მაინც—იმერელო! უ! უ! არ მიაყვირონ და ზედ ათასი ბრანწი არ დააყოლონ. მე თვითონ მინახავს ქუთაისში, რომ პატარა ბიჭები უკან მისდევდენ ქართლელ მეურმეს და მისძახოდნენ: ხი! მამო! კამბეჩი გაიქცა, შენმა მზემა, ხი!—რამდენი ისეთი უაზრო და უსაფუძვლო არაკებია ქართლ-კახეთში იმერლებზე და იმერეთში ქართლელ-კახლებზე გავრცელებული, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ეს სამი ერთმანეთის მეზობელი ქვეყნები სრულიად ვერ იცნობენ ერთმანეთსა?..

თუმცა, როგორც ზევით ვთქვი, თითქმის ყველა ჩვენ ქვეყნებში ერთი ენა, სარწმუნოება, ჩვეულება და ხასიათი ტრიალებს, მაგრამ ეს ერთნაირობა მართლა ისეთი არ არის, რომ არავითარი განსხვავება არ იყოს: უეჭველია, თითოეულ ამ პატარა ქვეყნებს განსხვავებული ბუნება არტყია გარს, განსხვავებული ისტორიული ცხოვრება ჰქონია და საზოგადოთ განსხვავებულ გარემოებებში ყოფილა და არის კიდეც; და ყველა ესენი: ბუნება, ისტორია და გარემოებები ამ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაზე, ენაზე, სარწმუნოებაზე და ჩვეულებებზე თავის განსაკუთრებულს ბეჭედს დააჯდენდა. მაშა სადამე, რასაკვირველია, საქართველოს სხვა და სხვა ქვეყნებთ შორის, ბევრი თუ არა, ცოტა განსხვავება მაინც უნდა არსებობდეს.

მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამ ჩვენ მეზობელ მხრეების ყოფა-ცხოვრებაზე ორიოდე სიტყვის თქმის მეტი არ შეგვიძლია; აბა, მიჩვენეთ ისეთი ქართველი, რომელმანც მაგალითად, ქისტელებზე მხოლოთ იმის თქმის მეტი შეეძლოს, რომ ისინი ქირთულათ ლაპარაკობენ და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა არიანო! უკაცრავათ, შეიძლება, ერთი კი არა, ათიც მოინახებოდეს, მაგრამ იმათ თავის ცოდნა გულში ჩაუმარხავთ. ჩვენ ისე ვცხოვრობთ ჩვენ მეზობელ ქვეყნებთან, როგორც ქართველი ძმები გაყრის შემდეგ ცხოვრობენ ხოლმე, თითქო გაბუტულები ვიყვნეთ ერთმანეთზე და თითქო საერთო და გასაზიარებელი არა გვქონდეს რა. შარშან ზაფხულს ერთმა სწავლულმა მოგზაურმა გამოიარა თფილისში. იმას რამდონიმე ცნობა უნდოდა ლეკებზე და მთიულებზე შეეკრიბა; მაგრამ, როცა აქაურ მცოდნე კაცებს მიმართა და ვერაფერი შეიტყო იმათგან, ძალიან გაუკვირდა და თქვა: „თქვენ ისე არა გცოდნიათ რა თქვენი ქვეყნის ამბავი, როგორც ჩინეთისა! თითქოს ცხრა-მთას გადაღმა იდგნენ ლეკები და მთიულები! სხვა არა იყოს რა—ყოველი კაცისთვის თავის თანამოძმის ყოფა-ცხოვრების გაცნობა საინტერესო მაინც უნდა იყოსო....“

მართლაც, მგონია, ჩვენ უცხო ქვეყნებს უფრო კარგათ ვიცნობთ, ვიდრე ჩვენ საკუთარსა; და სხვებმა ჩვენი ქვეყანა უფრო კარგათ იციან, ვიდრე ჩვენ თვითონ! სირცხვილი არ არის ჩვენთვის ესა? სირცხვილი არ არის, რომ დიუბუა, კლაპროტი და ალ. დიუმა გვაცნობდეს ჩვენ ჩვენ ქვეყანასა? . . . .

# ფელტონი

## ჩემი სამახსოვრო წიგნიდგან

იანვრის 1, 1871, შუაღამე.

უჰ! მადლობა ღმერთს! ძლივს არ გადავრჩი დღევანდელი დღის ხრიალს და მოუსვენლობას! ძლივს არ შევიფარე თავი ამ ჩემ პაწაწინა ოთახში და თავისუფლათ არ მოვიბრუნე სული! უჰ!

ღმერთო, რა ახირებული ქმნილებაა კაცი! ვითომ დღევანდელი დღე რაა, რითი სჯობია გუშინდელს ან ხვალინდელს, რით განირჩევა იმ სამას სამოცდა ოთხი დღიდან, რომლიდანაც—ვითომ—წელიწადი შედგება? ჭრელია ეს დღე, რქიანი, თუ რა, მაინცა და მაინც ის, რომ ამოურჩევია კაცს ახალწლის დღეთ?... რათ მიუნიჭებიათ მისთვის ეს უპირატესობა, რისთვის ეპყრობიან იმას ამ გვარი მოწიწებით? მაგრამ, მეც სულელი არა ვარ,—კაცის მოქმედების საფუძველს ვეძებ! „რათ, რისთვის“,—ეს კითხვები სულ უადგილოა: მთელი ცხოვრება არე უმიზეზოთ, უსაფუძვლოთაა გაწყობილი. რისთვის მინიჭებია ერთ ჩემ ნაცნობს მილიონი, რომელსაც ის ვერ ხმარობს და რისთვის არ მინიჭებია ეს მილიონი მეორეს, რომელიც მშვენიერათ გამოიყენებდა ამ ფულს? მესამე ჩემი ნაცნობი ქალი რათ ჩავარდნილა თავისი ქმრის ხელში, როცა მეოთხე ჩემი ნაცნობის ხელში, ყოფნა ურჩევნოდა? მეხუთე ჩემ ნაცნობს რათ უნდა მდიდარი ადგილ-მამული და რათ არა აქვს ეს ადგილი მეექვსეს?... რა მინდოდეს და ზოგი რომ შემეძლოს, არ „რათ“ და „რისთვის“ მოვეთვლიდი... ყველაზე ერთი პასუხი მექნებოდა: რათ,—ისე, უმიზეზოთ, უთავბოლოთ, რადგანც არიათ არჩევის, გონიერათ გაწყობის დრო არ შემთხვევიათ.....

+

თუ ასეა, სულელი არა ვარ, რომ მიკვირს დღევანდელი დღის ახალწლათ ჩარიცხვა? ისეც ისე, უმიზეზოთ, უთავბოლოთ დანიშნულა ახალწლათ, როგორც ჩემი ნაცნობი მილიონერი მილიონერათ დაბადებულა.—არც ერთს თითიც არ უნძრევიათ თავიანთი დანიშნულების შეძლების მოსაპოებლათ.—და თუ მაინც დღინც გაკვირვება და გაოცება მინდა დავიბედო ამ ახალ წელიწადს, მე ის უნდა მაკვირვებდეს, ან ერთს, ან მეორეს თავიანთი დანიშნულება და შეძლება შრომით და ჯაფით რომ მოეპოვოს!...

+

ნახევარი საათის შემდეგ.

საკვირველათ მოქმედებს კაცზე ღამე და მყუდროება. დღევანდელმა ხმიანობამ და მთელი ქალაქის აჩქარებულმა მოუსვენარმა მოძრაობამ ისეთ ნაირათ გააბრაზეს ჩემი ავათმყოფი ტვინის ძაფები, რომ მიკვირს, სიკვდილი რატომ არ მანატრეს?... მართლაც დილიდან დ წყებული შუაღამემდი, ხალხი მიდიოდა, მოდიოდა, დარბოდა, ხტოდა, ცეკვავდა, ტალახში და მტვერში ჰგორავდა, ქუჩაზე ამაყათ თავი მაღლა მოჰქონდა, ოთახში კი მაიმუნსავით ილუნებოდა. ამ უხეიროების ცქერამ საკვირველათ გამაანჩხლა, ასე რომ საღამოს, გულის დასამშვიდებლათ, თეატრში უნდა წავსულვიყავი....

+

წელან ვთქვი, იმისი არ იყოს,—ღამეს და მყუდროებას საკვირველი მოქმედება აქვს კაცზე. ეხლა მაგალითად, მე მიკვირს, წელან რათ ვცვიფრდებოდი, და ბევრი რამ რათ მიკვირდა? რაკი დავისვენე, და ჩემ ოთახში თავი ვიგრძნე, ეხლა ყოველიფერი ადვილ ასახსნელათ მიმაჩნია, ყოველ ამაოებაზე მზათა ვარ ვიცინო, და მთელი სახლი რომ ეხლა ყირამალა დამდგარი და მოსიარულე დავინახო, ისიც ვერ გამაცვიფრებს და ამაღელვებს.

+

წელან რომ დღევანდელი მოძრაობა მაკვირვებდა, რათ გამიკვირდა? ღმერთო ჩემო, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიცოცხლე ისეთი მყუდრო და უმოძრაოა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც კაცმა ერთი კუთხიდან მეორეში რბენა და ხტომა არ დაიწყოს—ფეხები და ხელები შეეხუთება.—და, იხტუნოს და ირბინოს: იმას გონია, რომ მისი რბენა ის მოძრაობაა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრებას ამშვენიერებს, და ურომლოთაც ხავსიანდება ხალხის ტვინი და სიცოცხლე...

+

ან რათ მიკვირდა ყველასი მარდი სიარული და ენერგიული ხელის ქნევა?

კაცის ბუნება იმას ითხოვს, რომ კაცი გავლილ გზას და ასრულებულ შრომას ერთ-

საქართველოს დიუბუასა და კლაპროტის მსგავსი შვილები ჯერ არა ჰყავს. მაგრამ თითო-ოროლა ისეთი ქართველი, რომელსაც წ ყ ე რ ა და ხალხის ცხოვრებაზე თ ვ ა ლ ი ს დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა შეუძლია,—ყოველ საქართველოს კუთხეში მოიპოება. ყოველ საქართველოს მაზრაში მოიპოება ისეთი ცოტაოდნათ მაინც ნასწავლი ქართველი, რომელიც მუდამ ხალხში დატრიალებს, რომელიც მუდამ დღე ხედავს ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, იმის ჩვეულებას, და რომელიც, თუ მოინდომებს, უეჭველია, შეძლებასაც და დროსაც მონახავს, რომ ეს თავის დაკვირვება ქაღალდზე გადაიღოს. საინტერესო, ძლიერ საინტერესოა აგრეთვე ყველა კუთხებიდამ ცნობები ხალხის განათლებაზე—სასოფლო შკოლებზე და სასოფლო სასამართლოებზე.

ყველა ამ გვარი საინტერესო ცნობებისთვის რედაქცია ძლიან დაუმადლებს თავის კორრესპონდენტებს და გაზეთის გვერდები მზათ იქნება ამ ცნობების დასაბეჭდათ.

უკანასკნელათ კიდევ მივმართავთ ჩვენ კორრესპონდენტებს: გაიცანით ხალხი, შეიტყეთ იმის ყოფა-ცხოვრების და ჭკუა-გონების მოძრაობა, იმის ჩვეულება, იმის სიხარული და დარდი, იმის ავი და კარგი და ყველა ამ საზოგადო სასარგებლო ცოდნას ნუ ჩაიმარხავთ გულში. ფეხის წინ წადგმა მხოლოთ მაშინ შეგვეძლება, როცა ჩვენ თავს კარგათ გავიცნობთ.

---

იმ საზოგადოებაში, რომელიც შარშან შესდგა პეტერბურღში რუსეთის ვაჭრობის და წარმოების დასახმარებლათ, ამ ჟამად არის მოლაპარაკება **კავკასიის რკინის გზებზე**; სჯიან იმაზე თუ რომელი კავკასიის გზა უფრო სასარგებლო იქნება რ უ ს ე თ ი ს თ ვ ი ს. უფ. სოფრონოვის აზრით, რომელსაც მხოლოდ ვაჭრობა და ეკონომიური მხარე აქვს სახეში, ყველაზე უკეთესი იქნება როსტოვიდამ სტავროპოლს, პიატიგორსკს და პეტროვსკამდი გაყვანილი გზა; ამ გზას როსტოვიდამ ფოთამდი უნდა ჰქონდეს შტო. სოფრონოვის წინაალმდეგ ჯერ უფ. სკალკოვსკი ლაპარაკობდა და მერე დიდხანს პოლკოვნიკმა რომანოვმა ილაპარაკა—იმ პროექტის სასარგებლოთ, რომელიც პეტერბურღის გეოგრაფიულ საზოგადოებაში წარადგინა. როგორც „დროების“ მე-50 №-ში მოყვანილი იყო, უფ. რომანოვის აზრით, კავკასიის რკინის გზებს, ვაჭრობისა და წარმოების გაძლიერების გარდა, პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნები უნდა ჰქონდეს სახეში *); და ამისთვის ის არ ეთანხმება იმ ლინიას, რომელზედაც უფ. სოფრონოვმა ილაპარაკა, რადგან ამ ნაირ გზას, იმის აზრით, მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა ექნება.

***

ქრისტეშობის 23-ს იყო საშინაო ვეჩერი, იმ გვარათვე როგორც გიორგობისთვის 23-ს. ამ ვეჩერში საკმაოდ კარგათ წარმოდგენილ იქმნა „ბაყრა“, და უფრო მხიარულათ გაატარეს დრო იქ მყოფთა, ვიდრე წინათა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ პიესა ერთი წარმოადგინეს და ანტრაქტებში ორიოდე ლექსები წაიკითხეს: „ჩანჩარი“ ***-ისა, „საშინელი სიზმარი“ ფალერსლებენის მიბაძვა ანტ. ფურცელაძისა, ნაწყვეტი გრიგ. ორბელიანის ახალის ლექსებისა „სადღეგრძელო.“ პიესას შემდეგ იყო ტანცაობა. ამ ვეჩერში ყოფნა ბევრსა სურვებიათ, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ იქნებოდნენ, რადგანაც მხოლოდ მცნობთა და მეგობართათვის ჰქონდათ და არა საპუბლიკოთ. ვისურვებთ, რომ ამ გვარი სასარგებლო და სასიამოვნო ვეჩერები არამც თუ მხოლოდ ტფილისში, არამედ სხვა ქალაქებშიაც ხშირათ მოხდებოდეს.

***

აგრეთვე ქრისტიშობის 28-სა წარმოდგენილ იქმნა ტფილისის დიდ თეატრში „მზის დაბნელება“—თეატრის მოყვარეთაგან აქაურ უფასო შკოლების სასარგებლოთ. ეს მოყვარენი ეკუთვნოდნენ თუ ქალნი და თუ კაცნი ჩვენს მაღალ საზოგადოებას. წარმოდგენა საზოგადოთ კარგათ მოხერხდა, მეტადრე მეორე მოქმედება მეტის მეტათ ეფექტით წარმოსდგა და ნამდვილი ჩვენი ქალაქის ხალხის სურათები გამოეხატა თვალ წინ მაყურებელსა. ეს დიდათ სასიამოვნოა, რომ ჩვენი მაღალი საზოგადოების წევრნი არამც თუ მარტო კეთილ საქმეს ხელს უწყობენ, არამედ ჩვენ ქართულ სცენასაც უყურადღებოდ არ აგდებენ. რამდენათაც ქართულ სცენას შემწეობა მიეცემა იმათგან, იმდენათ გაკეთდება და შემდეგში ბევრს სარგებლობას მისცემს არა თუ მხოლოდ უფასო შკოლებს, არამედ სხვა მრავალ გვარ კეთილ საქმეებს, რომელშიაც მონაწილეობა აქვს ტფილისის კეთილ მყოფელს საზოგადოებას. ბილეთები ამ წარმოდგენაში ერთი ორათ და სამათ ისყიდებოდა, მეტის მიმცემნიც იყვნენ, მაგრამ ბილეთი აღარ იყო. ამბობენ, კიდევ იქნება სხვა წარმოდგენაცაო. ძალიან სასურველია.

---

ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ მოგვივიდა ამბავი, რომ გასული თვის 27-მდი ძალიან ცუდი ტარსები ყოფილა: რამდონიმე დღე წვიმა და ქარი არ შეწყნარებულა; ბოლოს 27-ს თოვლიც მოსულა, მაგრამ, ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, ამ თოვლს დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნებაო, რადგან მეორე დღესვე მზემ თვალები გამოჰკიტაო.

***

საშინელი თეატრული მოძრაობა იყო 1870 წელს ჩვენში; ჯერ ბარე რვაჯერ მარტო ტფილისში იყო ქართული წარმოდგენები: ერთი აქაურ თეატრში, ორი ნემცების კლუბში და ხუთიც შინაური წარმოდგენები იყო. (წარმოადგენილი იყო: „მზის დაბნელება“ (თეატრში), „ბაყრა“ (ორჯერ), „ჩინჩაჩინის ქუდი“, „ძალათ ცოლის შერთვევინება“ „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ „სცენები“ და ძუნწი“). ქუთაისი ხომ რა, უკან როგორ ჩამორჩება ტფილისს ამისთანა საქმეებში... მაგრამ ჩვენ არა შეგვიტყვია, ითამაშეს იქ შარშან რამ, თუ არა. ახლა კი გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში ვაპირებთო. მანგლისშიაც წარმოუდგენიათ ზაფხულში რაღაცა. მანგლისი რა—ასე გასინჯეთ, დაბა ხონში, საცა სულ სამასი მოსახლე კაცი არ იქნება, იქაც კი წარმოუდგენიათ ამ ხანებში „ბაყრა“; მერე როგორ?—იქაური შკოლის სასარგებლოთ.... ბარაქალა!

---

# რუსეთი

ამ მოკლე ხანს მოსკოვში შემდგარა ერთი საზოგადოება, რომლის მიზანი, როგორც გაზეთებში სწერენ, ის არის, რომ მდაბიო ხალხს ლოთობა და საზოგადოთ ცუდი ცხოვრება მოიშლევინოს და უფრო კეთილზნეობიან ცხოვრებას მიაჩვიოს. ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოება თავის ხარჯით მმართავს ჩ ა ი ს ზ ა ლ ა ს, საცა მუშა-ხალხს უფრო იაფათ შეუძლია სვას ჩაი და პივო; არაყი კი სრულიად არ გაისყიდება ამ ზალაში. ამას კარდა საზოგადოება რამდონსამე მოსკოვის უბანში სახალხო ბიბლიოთეკების და საკითხავი ოთახების გახსნას აპირებს, რომლებშიაც მუშა-ხალხი იპოვის სასიამოვნო და ამ დროსვე სასარგებლო წიგნებსაც საკითხავათ.

რასაკვირველია, ყოველი ამგვარი ზრუნვა მდაბიო ხალხზე, ბევრათ თუ არა, ცოტათი მაინც დაეხმარება იმათ გაჭირებული მდგომარეობის გაუმჯობესობას. მაგრამ ძალიან შემცდარნი არიან ზოგიერთები, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ მარტო იაფი ყავახანების და სახალხო თეატრების გამართვით და სამკითხოების მოსპობით, ან არაყის გაძვირებით—შესაწლებელიაო **მდაბიო ხალხის ზნეობის გასწორება.**

ჯერ იმაზედაც შეიძლება კაცმა არ დათან-მხედეს, რომ მდაბიო ხალხი საზოგადოთ სხვა წოდებებზე უფრო უზნეო იყოს. მართალია, ზოგან ბდაბიო, მუშა-ხალხი მეტისმეტათ ლოთობს, ზოგან ის გარყვნილია, ზოგან ზარმაცობს; მაგრამ ახლა ზოგი სხვა წოდების საზოგადოებასაც გადახედეთ და შენიშნავთ, რომ, თუ აქ უფრო ნაკლებათ არის გავრცელებული, მაგალითად, ქურდობა და ავაზაკობა, მის ნაცვლათ ბლომათ იპოვება სხვა ისეთი თვისება და ხასიათები, რომელნიც ამ საზოგადოების კეთილზნეობას და განათლებას სრულიად არ ამტკიცებენ. მართალია, რომელიმე ცუდი საქმე, ავაზაკობა, ქურდობა უფრო ხშირათ მდაბიო ხალხში ხდება; მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ე რ თ ი ის, რომ მდაბიო ხალხი რიცხვითაც ბევრათ უმეტესია, ვიდრემ სხვა წოდების საზოგადოება, მეორეთ ის, რომ ამ მდაბიო ხალხს ხშირათ გაჭირვება და უბედური ეკონომიური გარემოებები ხდიან იძულებულათ რომელიმე ბოროტი საქმე ჩაიდინონ; მ ე ს ა მ ე მიზეზი ამისა არის გაუნათლებლობა. ვისაც მდაბიო ხალხის წინ წასწევა, იმის ზნეობის გასწორება და საზოგადოთ ბედნიერი ცხოვრების მინიჭება ჰსურს—ამ უკანასკნელ ორ საგანს უნდა მიაქციოს ყურადღება, ე. ი. ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ ხ ა რ ი ს გ ა ს წ ო რ ე ბ ა ს და უ მ ე ც რ ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა ს. მდაბიო ხალხს მხოლოთ ეს ორი ნივთი დაეხმარება.

***

მ ო ს კ ო ვ შ ი ვ ე (როგორც პეტერბურღშიაც) არის მეორე შესანიშნავი საზოგადოება, სახელათ „**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.**“ ამ საზოგადოების დანიშნულება არის წერა-კითხვის გავრცელება მდაბიო ხალხში; ამისთვის ის ანბანებს და სახალხო წიგნებს ბეჭდავს, თავის ხარჯით, და ხშირათ მუქთად არიგებს თვითონ მოსკოვში და სასოფლო შკოლებშიაც. საზოგადოებას ახლა ერთი კარგი საქმე განუზრახავს უმეტეს ნაწილს მოსკოვის პატარა შკოლებში ქალები არიან მასწავლებლებათ; ზემოხსენებული საზოგადოების ზოგიერთ წევრებს განუზრახავთ ამ ქალებისთვის პედაგოგიური ლექციების წაკითხვა, იმისთვის რომ გადასცენ იმათ მასწავლებლობის ხელოვნება. სულ წაიკითხვენ 69 ლექციას და შემდეგ თვითონ ქალებმაც იმ რიგათ უნდა ასწავლონ თავიანთ შკოლებში, რა რიგათაც ეს გამოცდილი კაცები თვითონ იმათ ასწავლიდნენ.

***

მოსკოვის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში იქ 25/° სიცივეები ყოფილა, ასე რომ ერთ ღამეს რვა მედროჟკე

*) უფ. რომანოვი ამბობს, რომ 1) ამ გზების საშუალებით, კავკასია უფრო მჭიდროთ უნდა მიეკავშიროს რუსეთსა, 2) ეს გზები უნდა დაეხმაროს რუსების დასახლებას კავკასიაში და საზოგადოთ რუსობის გაძლიერებას, 4) ჯარების რიცხვისა და ამასთანავე სამხედრო ხარჯის შემოკლებას და მის ნაცვლათ—შავი ზღვის ნაპირების გამაგრებას და სხვ.

---

გ. მათ თვალს რომ მოავლებს, მის გულში შემდგომმა ამაყმა ფიქრმა უნდა გაიღვიძოს: მე გავიარე ეს გრძელი გზა, მე შევასრულე ეს მძიმე და ძნელი შრომა.

ზოგიერთი დღევანდელი ამაყებიც ამ გრძნობას ემორჩილებიან. იმათ—მართალია—არც გზა გაუვლიათ, არც შრომა აუსრულებიათ, მაშასადამე, არც გავლილი გზის დანახვა შეუძლიათ, არც აღსრულებული შრომის; არც ერთხელ იმათ ამ გზის და შრომის დათვალიერების სურვილი არ მოსვლიათ მთელი წლის განმავლობაში.—მაგრამ, უმიზეზოთ, უთავბოლოთ მიღებული ახალწლის დღე რომ დგება, ეს კაცები უეცრათ იხსენებენ, რომ მთელი ერთი წელიწადი გაუტარებიათ შარშანს აქეთ. მერმე როგორ გაუტარებიათ? ისე, რომ არც ერთხელ გულში მაღალი გრძნობა არ ანთებიათ, არც ერთხელ არ უკითხავთ თავიანთ თავისთვის,—რა მიზნისთვის, რა საქმისთვის, ვისა ანა და რის სასარგებლოთ სცხოვრებენ ისინი ამ ქვეყანაზე, რა უნდა გადასცენ შემდგომ შთამომავლობის, და რით ისახელონ თავი საზოგადო ცხოვრებაში?

არც ერთ ამ კითხვას მათ თავში მგზავრათაც არ გაუვლია. უგრძნობელათ, უმიზნოთ, ულევაწლოთ გაუთენებიათ იმათ სამას სამოცდა ხუთი ღამე, და სამას სამოცდა ხუთი დღე დაუღამებიათ. სამას სამოცდა ხუთი დღე, ხუმრობაა?...

+

მოდი და, ამისთანა კაცს ნუ მიეცემა გულში სიამაყე, როცა ერთბაშათ იხსენებს, რომ სამას სამოცდა ხუთი დღე (თითო ოცდა ოთხოთხ საათიანი) გაუტარებია ისე, რომ თვითონაც არ იცის რისთვის და რა მიზეზისთვის. რასაკვირველია, რომ მის გულში მაშინვე ეს აზრი იბუდებს: მარჯვე კაცი როგორ არა ვარ: მთელი წელიწადი ისე გამიტარებია, თითქო მძინებოდეს; ახალი რომ არ დამდგარიყო, ასიც არ მეკოდინებოდა, თუ ძველი გავატარე. აბა, სხვა თუ ვინმე მოახერხებს ამას...

+

არა, მე რომ ხეირიანათ ამ საქმეს დავფიქრებოდი, თავდაპირველათვე დავრწმუნდებოდი, რომ დღეს ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდები მეტისმეტათ ამაყი სახის უნდა ყოფილიყვნენ: ერთი ხომ ეს, რომ იმათ მთელი წელიწადი უმიზნოთ, უაზროთ გაატარეს. მხლა მეორეც გავიხსენოთ—რ ო გ ო რ ი წ ე ლ ი წ ა დ ი!?..

+

არა, რა წელიწადი იყო ეს საკვირველი 1870 წელიწადი, და როგორ ალა-ალათ მიგვაჩნია ის ჩვენ, მის თანამედროვეთ!... რა საკვირველი საქმეები მოხდა ქვეყანაზე ამ წელიწადში, და რამდენი საუცხოვო ცვლილებების წყაროთ შეიქნა ის კაცობრიობის ცხოვრებაში! რა კეთილი, ბედნიერი აზრების სიმართლე, სისწორე გამოაჩინა იმან საქვეყნოთ, რა ბოროტება მოსპო, რა გმირობა აღძრა იმან თუ მთელ ქვეყანაში არა, ზოგიერთ ადგილას მაინც!...

+

მას შემდეგ, როცა იმან საქვეყნოთ გერმანიის გამარჯვებით დაამტკიცა, რომ გერმანიელი ხალხის სურვილს და ალტაცებულ თავ-გამომეტებას დარაზმული მტრის ჯარი ბევრს ვერას დააკლებდა, იმან მთელი ხუთი თვის განმავლობაში, ყოველ დღე, ამავე აზრის ახალნაირათ დამტკიცება დაიწყო. იმან დაგვანახა ჩვენ, რომ ის ჯარი, რომელმაც სამი კვირის განმავლობაში მთელი ნაპოლეონის ჯარის დამწყვდევა და დაჭერა შეიძლო, ყოველნაირათ ცდილობს, ხუთი თვის განმავლობაში, და ვერ ახერხებს დაცალცალკავებული, უიარაღო, უფულო, უუფროსო საფრანგეთის დამორჩილებას......

+

დიახ, სწორეთ საკვირველ ქმნილებათ უნდა მიაჩნდეს თავისი თავი იმ პირს, რომელმაც მთელ წელიწადში სამას სამოცდა ხუთი დღე უგრძნობელათ, უშრომოთ გასძლო, და რომლის ტვინი, გული და გრძნობა იანვრის პირველს 1871 სწორეთ იმნაირივეა როგორიც შარშან ამდროს იყო, ესე იგი სუსტი, უხეირო და უძლური.

+

ვისაც შარშანდელი წელიწადი თავისთვის და საზოგადოებისთვის უსარგებლოთ გაუტარებია იმას სიამაყე და თავის მოწონება—რასაკვირველია—მოუხდება. ჩემი აზრით, ის მეტსაც ღირსია, და ქვეყანაზე ღმერთს ჩემთვის ამ საქმის გადაწყვეტის უფლება რომ მოეცა, ამისთანა კაცს დიდ შუშაში ჩავსვამდი და სპირტში შევინახავდი,—შემდეგი შთამომავლობის დასაჯერებლათ, რომ ჩემს დროს, 1871 წელს, ამისთანა პირები ჩემს ქვეყანაში არსებობდენ.

ნ. სკანდელი.

გაუყინავს და ბევრისთვის პირის-სახე და ცხვირი სრულებით მოუთუთქავს სიცივეს. დღისით ვერც ერთ ზეციერ ფრინველსა ველარ ნახავდი თურმე და ღამით ვერც ერთ ღამე მფრინავ მიწიერ ფრინველს (*).

* **

მეყველეებთ ამხანაგობის (არტელების) რიცხვი თან და თან მრავლდება რუსეთში. სხვათა შორის შარშან რიბინსკის გუბერნიის ორ სოფელში გაუმართავთ გლეხებს ამისთანა ამხანაგობები; ამ ორ სოფელში 160 გლეხ-კაცს მიუღია მონაწილეობა ამხანაგობაში, რომლის სარგებლობა თავიდგანვე უგრძვნიათ. გლეხები ახლა უფრო რიგიანათ უვლიან თურმე საწველავს საქონელს და რადგან ამ საქმეში სარგებლობას ხედავენ, ბევრს ძროხები უყიდნია. ძროხების ყიდვაში სასოფლო ბანკი უმართავს იმათ ხელს.

* **

ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ ამას წინათ, რომ მოსკოვში გაიმართა „მსროლელების საზოგადოებ“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ გაავრცელოს ხალხში თოფის ხმარებისა და სროლის ცოდნა. ამ ნაირი საზოგადოება ამ მოკლე ხანს, როგორც ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, სმოლენსკშიაც იმართება.

* **

„ომში დაჭრილებისა და ავათმყოფების მზრუნველმა კომიტეტმა“, რომელიც პეტერბურღშია, გამოსცა ანგარიში, რომლიდანა სჩანს, რომ 1869 წლის დასაწყისს კომიტეტს ჰქონია—11,764,658 მან.; ამ წლის განმავლობაში თუ წევრებსა და თუ გარეშე პირებს კამიტეტში შეუტანია» კიდევ—2,040,166 მან. და 1,466,086 მან. დაუხარჯავთ.

* **

გამოჩენილ რუსის ფიზიოლოგს—სეჩენოვს—16 დეკემბერს უკანასკნელი ლექცია წაუკითხავს პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიაში და კიდეც გამოთხოვებია სტუდენტებს; ლექციის გათავების შემდეგ უფ. სეჩენოვს უთქვამს სტუდენტებისთვის: „ავათმყოფობა მაიძულებს მიგატოვოთ თქვენ; დღეს მე უკანასკნელ ლექციას ვკითხულობ.“ აუდიტორიაში მთელი აკადემიის სტუდენტები ყოფილან და ყველას ტაშის კვრით თავის თანაგრძნობა განუცხადებია ამ საუკეთესო პროფესორისათვის. უფ. სეჩენოვსაც, თავის მხრით, მადლობა უთქვამს სტუდენტებისთვის ამ თანაგრძნობისა და ყურადღებისათვის.

* **

1869 წელს კურსკის გუბერნიაში სულ—276 სასოფლო შკოლა იყო; ამ რიცხვიდან 117 შკოლა თვითონ საზოგადოების ხარჯით იყო გამართული. ამ შკოლებში 10,660 ვაჟი და 820 ქალი სწავლობდენ.

---

# ომის ამბები

საფრანგეთის საქმე რომ თან და თან უკეთ მიდის ის გვიმტკიცებს, რომ ნემცები ამ უკანასკნელ დროს, როგორც პარიჟიდგან აგრეთვე ლუარის ნაპირებზედაც ძალიან უჩივიან თავის მდგომარეობას. აი, მაგალითად, რას იწერება პარიჟთან გაჩერებული პრუსიის არმიიდამ ერთი ნემეცის აფიცარი: „თუმც ჩვენ არა გვაქვს ამის იმედი, მაგრამ კიდეც რომ არ გამოვიდეს ტროშუ, თავის არმიით, პარიჟიდამ და არ დაგვეცეს,—მაინც ჩვენი მდგომარეობა აქ ძალიან ძნელია. ყველა აქაური ჩვენი ჯარებიდამ მოდის ამბავი, რომ იმათი სამსახური ისე ძნელი და მოუსვენარია, ისინი იმდენ გაჭირვებას ითმენენ, რომ მეტის მოთმენა ადამიანისაგან არ შეიძლება. წარმოიდგინეთ, ამისთანა ამბავი და ყვედრება ისმის ისეთი მხნე და სამხედრო საქმეში გამოცდილი პირებისაგან, რომელთაც სინაზესა და გაჭირვების ატანლობას ვერ შესწამებს კაცი.“ მეორე მხრით, მეორე ნემეცურსავე გაზეთში სწერენ: „გასაკვირველია ფრანცუზების მხნეობა და თავის თავის იმედი: თუმც რამდონჯერმე დავამარცხეთ ჩვენ ისინი, მაგრამ მხნეობას და გამარჯვების იმედს მაინც არ კარგვენ; და ძალიან აც უჭირვებენ საქმეს ჩვენ მხნე არმიებს; ასე რომ, მგონი, შემდეგშიაც ჩვენ იმდენი გაჭირვება და ბრძოლა მოგველის, რამდენიც აქამდი გამოვიარეთ.“ ამ ამბებს კიდევ ისიც უნდა მივუმატოთ, რომ თუმც ელზასი და ლოტრანგია ნემცების ხელშია, მაგრამ ამ ორი მაზრის მცხოვრებლები დიდ მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის დაცვაში: მარტო ელზასიდამ ოთხი ათასი ახალგაზდა ბიჭები გამოქცეულან და ფრანცუზების ჯარებში მისულან; ლოტრანგიაშიაც ბევრგან შესდგა თურმე ვოლონტერების ატრიადები, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ნემცების ჯარებსა. ერთი ფრანცუზული გაზეთი აქებს ელზასელების პატრიოტობას და იმათ მოქმედებას ამ ომში. სხვათა შორის ამ გაზეთში სწერენ, რომ ელზასის ქალებს აღთქმა მიუციათ, სანამ ნემცებს სტრასბურღიდამ არ განდევნიან, მანამ შავებში ვიყოთო. „მაშასადამე, ამბობს ეს გაზეთი, უფ. ბებელი, რომელმანც სთქვა პრუსიის რეიხსტაღში, რომ ელზასის და ლოტრანგიის მცხოვრებლებს არა ჰსურთ საფრანგეთს მოშორდენ და გერმანიას შეუერთდენო,—სრულიად მართალი იყო და უსამართლოთ დაატუსაღეს ამ აზრის გამოთქმისათვის.“

წარსული დეკემბრის დამლევს ნემცები პარიჟის აღებას შეუდგნენ. როგორც ამ ნომერშივე დაბეჭდილი ტელეგრამმებით შეიტყობს მკითხველი, ნემცებმა ჩრდილოეთ—აღმოსავლეთის მხრით მიადგნენ პარიჟსა და პირველათ სოფ. მონ-აურონისთვის და ნოჟანის ფორტისთვის დაუშენიათ ყუმბარები. რადგან მონ-აურონის დაცვა ფრანცუზებისთვის ძნელი იყო, ამის გამო იმათ წაიღეს რაც სამხედრო მასალები ჰქონდათ აქა და უკან დაიხიეს. 18 (30) დეკემბერს ნემცებმა მონ-აურონი დაიჭირეს. ახლა ისინი შეუდგებიან სხვა აღმოსავლეთის ფორტების აღებას; პირ და პირ პარიჟის აღმოსავლეთისაკენ სამი ფორტია: ნუაზის, რონისისა და ნოჟანის. თუ ეს ფორტები აიღეს, მერე უფრო მიუახლოვდებიან პარიჟსა. მაგრამ ამ ქალაქის აღება ასე ადვილი არ იქნება. ჯერ რაც ქალაქის გარეთ ჯარებია (ფორტებში და ვენსენის ტყეში—დიუკრო) იმათთან დასჭირდება ნემცებს ბრძოლა და მერე, თუ ისინი დაამარცხა, თვითონ ქალაქში მყოფ ჯართან. ერთი სიტყვით, როგორც თვითონ ნემცები ამბობენ, პარიჟის აღება ყველაფერზე უფრო ძნელი იქნება დაბევრი ადამიანის სისხლი ახლა დაიღვრება. ერთი ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება პარიჟიდამ, რომ ამ უკანასკნელ დროს ტროშუ საშინლათ ამაგრებს მონ-ვალერიანის ფორტსა და ბევრი საომარი მასალები და სურსათი გაგზავნა იქაო. მონ-ვალერიანი პატარა, მაგრამ ძალიან გამაგრებული ქალაქია, პარიჟის ახლოს, მაღლობზე დგას და ზედ დასჩერებია პარიჟსა. თუ ვინიცობაა, პარიჟი აიღეს ნემცებმა, მაშინ ტროშუ აქ აპირებს თავის ჯარებით გამაგრებას და აქედამ უნდა ებრძოლოს იმათა.

ვერც ლუარის, ვერც ჩრდილოეთის და ვერც სხვა პარიჟის გარეშე ჯარები ამ მოკლე ხანს ვერ მიეშველებიან პარიჟს, რადგან იმათ ისეთი არმიები უდგა წინ, რომ იმათი დამარცხება და გაპობა ძალიან ძნელი საქმეა. შანზი (ლუარის არმიის წინამძღომელი) ლემანსში დგას, იმას ფიდრიხ-კარლი უყარაულებს *). წარსულ კვირაში მოვიდა ტელეგრამმა, რომ ფედერბმა, ჩრდილოეთის არმიის უფროსმა, დაამარცხა ნემცების ჩრდილოეთის (მანტეიფელის) არმიაო, მაგრამ ის გარემოება, რომ ნემცები თან და თან წინ მიდიან (ისინი ახლა ამიენის ზევით არიან, არასთან) და ფრანცუზები კი უკან იწევენ, ამტკიცებს, რომ ამ გამარჯვებას ბევრი ნამყოფი არ მოუტანია ჩრდილოეთის არმიისთვის, რომელიც, პარიჟის მიშველების მაგიერ, სულ უკან და უკან იწევს. ერთი სიტყვით, პარიჟს ჯერ-ჯერობით მარტო თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეს. დღევანდელი ტელეგრამიდანვე შეიტყობს მკითხველი, რომ ნემცების ყუმბარები ლიუქსამბურღის ბაღამდი და მიშელის ბულვარამდი უწევენ (თითქმის შუა პარიჟში). თუ ამ ყუმბარების დაშენამ ძალიან არ დააზიანა ქალაქი და არ შეაშინა ჯარები, პარიჟს არა უშავს რა, ამიტომ რომ, როგორც ერთი ინგლისელი იწერება, სურსათი ჯერ იმდენი აქვთ თურმე ქალაქში, რომ თითქმის მარტის დამლევამდი ეყოფათ. მანამ, რასაკვირველია, ტროშუ, დიუკრო და ლუარის არმია გულ-ხელ დაკრეფილი ხომ არ დაუწყებენ პარიჟის ალიხრების ყურებას.

— „კელნის გაზეთის“ კორრესპონდენტი აი რას იწერება ლუარის და იმის მოწინააღმდეგე ფრიდრიხ-კარლის არმიებზე: „მართალია, ლუარის არმიის მდგომარეობა ძალიან ძნელი შეიქნა, განსაკუთრებით მის შემდეგ რაც ვანდომიდან დაისწია, მაგრამ ფრანცუზები მორიგებას აზრშიაც არ იღებენ. ნურც იმას იფიქრებს ნურავინ, რომ გამარჯვებამ ჩვენი არმიის მდგომარეობა შეამსუბუქა. ერთ ალაგას რომ ვამარცხებთ ფრანცუზებს, ისინი მეორე ალაგას ამოჰყოფენ თავს და ამასთანავე იმათი რიცხვი, თითქო წვიმის შემდეგ სოკოებისა, თან და თან მატულობს. თუმც ჩვენა გვყავს დახელოვნებული და გამოცდილი ღენერლები და აფიცრები, თუმც ჩვენი ჯარი მხნე და კარგათ გაწვრთნილია, მაგრამ ისეთ ვეშაპთან ბრძოლა, რომელსაც ერთ ხელს რომ მოსჭრი, მის ნაცვლათ ორი ამოსდის, ადვილი საქმე არ არის. ამას გარდა ლუარის არმიაშიაც გამოჩდენ ახლა ისეთი პირები, რომელთაც საკმაოთა აქვთ მხნეობა, ზნეობითი სიმაგრე და განუსაღვრელი მამულის სიყვარული და ამნაირ თვისებებთან ბრძოლა ძნელი საქმეა.“

— 22 დეკემბერს (3 იანვარს) მეზიერის სიმაგრე ნემცებმა დაიჭირეს. იმათ დაუტყვევებიათ იქ ორი ათასი კაცი, როგორც თვითონ იწერებიან, და ამასთან 106 ზარბაზანი წაურთმევიათ ფრანცუზებისათვის,

— 20 დეკემბერს ბორდოში მოვიდა შემდეგი დეპეშა შანზისა ლუარის არმიიდგან: ღენერალ ჟოფრუამ ლუარის გაღმა გადენა გუშინ ნემცები და თვითონ მოხერხებულ ალაგზე გამაგრდა. ამ ბრძოლის დროს ორასი ტყვე წავართვით მტერს.

---

# უცხო ქვეყნები

გაზეთის „Volks-Zeitung“-ს ამ წლის პირველს ნომერში შემდეგი მოწინავე სტატია დაბეჭდილი:

„ერთი ათი წელიწადი გათავდა და დაიწყო მეორე. რა დავთესეთ ჩვენ წარსულში და რა ნაყოფს მოველით მომავალში? ზოგიერთნი ჰფიქრობენ, რომ დღეს-ხვალ მოელება ბოლო ცუდ დროებასო. მაგრამ ვინც, წასულის შედარებით, მომავალზე დაიწყებს სჯას, ის სანუგეშოს ვერას დაინახავს მომავალში. ამ ჟამად ჩვენ ვართ მოწამენი გულის შემაძრწუნებელი სისხლის ღვრისა და მოუთმენელათ მოველით ამ ძმა-ძმის მკვლელი ომიანობის გათავებას. მაგრამ ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ახლანდელი ომი უკანასკნელი ომი იქნება. ჩვენ, გერმანიელები, დარწმუნებული ვართ, რომ ამ ომში გავიმარჯვებთ, მაგრამ, ვინც მომავალს გამჭრიახე თვალით უყურებს, ის უნდა ხედავდეს, რომ ამ ომის შემდეგაც არ მოგველის ჩვენ მშვიდობიანობა. ჯერ ეს ომიც არ გათავებულა და მთელი ევროპა ახალ ომისთვის ემზადება: ყველგან ჯარებს აწვევენ და თოფ-იარაღს ამზადებენ. დამშვიდებული გულით არ მოველით ჩვენ ახალ დროებას. ერთიღა იმედი დაგვრჩენია ჩვენ: ხალხებში გაიღვიძებს გრძნობა ურთიერთის სიყვარულის და თანაგრძნობისა და ეს სიყვარული გააგებინებს იმათ, რომ ძმურათ ცხოვრება ყოველთვის უფრო სასარგებლოა ყველასთვის, ვიდრემ მტრობა და ერთმანეთის სისხლის ღვრა.“

## საფრანგეთი

21 დეკემბ. პარიჟში შეყრილან ყველა ქალაქის მერები; თავმჯდომარეთ ჟულ-ფავრი ყოფილა და პარიჟის დაცვაზე ჰქონიათ მოლაპარაკება. ზოგიერთებსა უკმაყოფილება გამოუცხადებია ტროშუს, ფავრის და პიკარის მოქმედებაზე, მაგრამ საზოგადოთ კი ყველას გადაუწყვეტია, რომ მორიგება არ შეიძლებაო, და ამის გამო რაც შეიძლება ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ და ენერგიულათ ვებრძოლოთ მტერსაო.

## ესპანია

ახლად ამორჩეული ესპანიის კოროლი-ამედეი—21 დეკემბ. (2 იანვ.) მისულა მადრიდშიდა იმწამსვე პირდაპირ ეკლესიაში წასულა, რომ მშვიდობით მოსვლისათვის მადლობა შეეწირა ღვთისათვის და აგრეთვე პატივი ეცა ახლათ მოკლული პრიმის გვამისათვისაც. ეკკლესიიდამ ის წასულა კორტესებში, საცა დაუფიცნია—ბეჯითათ ავასრულებ ესპანიის კონსტიტუციასო და ამის შემდეგ კორტესების პრეზიდენტს გამოუცხადებია ის ესპანიის კოროლათ.

## ინგლისი

ლონდონის გაზეთების სიტყვით, ინგლისის პარლამენტი 1 თებერვალს გაიხსნება. მმართებლობა ახალ პროექტებს წარუდგენს იმას დასამტკიცებლათ; ამ პროექტების ძალით, მმართებლობას უნდა მიეცეს პარლამენტისაგან საშუალება, რომ უფრო მომეტებული ჯარისა და სამხედრო ხომალდების შენახვა შეეძლოს.

— ლორდ გლადსტონი აცხადებს, რომ ის ირლანდიელები (ფენიები), რომელნიც არეულობის მოხდენისათვის დატუსაღებულნი იყვნენ, მალე იქნებიან განთავისუფლებულნიო, მხოლოთ იმ პირობით, რომ იმათ გაყრიან ინგლისიდამ და დაბრუნების ნება არ ექნებათო.

## იტალია

პრუსიის ოფიციალურს გაზეთში სწერენ, ვითომ რომის პაპს ეკითხნოს კოროლ ვილჰელმისათვის, საჭიროება რომ დამადგეს, შეიძლება შენს სახელმწიფოში თავი შევიფაროო, თუ არაო. პრუსიის კოროლს პასუხათ მიუწერია—შეიძლებაო. როგორც ამბობენ, პაპი მართლა თუ მივიდა გერმანიაში, იმას დააყენებენ ან კელნში ან ფულდში. ორივე ამ ქალაქთაგანში ბევრი ეკკლესიებია. ფულდში ამას გარდა ბევრი ცარიელი სასახლეებიც არის და პაპს ადვილათ შეუძლია იქ მოთავსდეს.

---

## წარსული და ამ კვირის ტელეგრამმები.

ს. პეტერბურღი, 28 დეკემბერს. ღენერალ შანზის არმიაში ორასი ათასი კაცია.

— ლიონის არმია ბელფორისაკენ მიდის.

ს. პეტერბ. 29 დეკემბ. ვანდომთან ნემცებისა და ფრანცუზების (შანზის) არმიებს შუა ბრძოლა იყო. ფრანცუზებმა გაიმარჯვეს.

— მონრუჟისა და ვანვრის (პარიჟთან) ფორტების კაზარმები დაწვეს.

— საფრანგეთში გამოაწვიეს ის პირები, რომელთაც 1871 წელს უნდა დაეწყოთ სამხედრო სამსახური.

ს. პეტერბ., 30 დეკემბ. ბელფორთან ფრანცუზებმა საშინლათ დაამარცხეს ნემცების ჯარი.

— ნემცები იწერებიან, ბელფორთან ჩვენ გავიმარჯვეთო.

— ზოგიერთი ფრანცუზული გაზეთები ჰკიცხავენ ახლანდელ მმართებლობას.

---

(*) მიწიერი ფრინველები არიან ის ფეხ-რბილოსანი ქალები, რომელნიც საღამოობით გამოდიან და ქუჩა-ქუჩა დაიარებიან.

*) ნახე ტელეგრამმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პერონის (ჩრდილოეთით) სიმაგრე აიღეს ნემცებმა და 3,000 კაცი დაატყვევეს.

ს. პ ე ტ ე რ ბ., 31 დ ე კ ე მ ბ. პერონის აღებამ ძალიან აალელვა პარიჟი.

— ღენერალ შანზი სამი მხრით შეავიწროეს და ამის გამო იმან უკან დაისწია.

— ლიუქსენბურლის ბაღში და მიშელის ბულვარში (პარიჟში) ვარდება ნემცების ყუმბარები.

— ფრანცუზებმა ბონომი დაიჭირეს.

ს. პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ი, 1 ი ა ნ ვ ა რ ს. პარიჟს დაუშინეს ყუმბარები, რომელნიც სორბონთან ვარდებიან.

— ღენერალ შანზი იწერება, რომ 30 დეკემბერს (11 იანვ.) ის თავის ძველ ადგილებზეა. ნემცებისაგან კი არის ცნობა, რომ 31 დეკემბ. ფრიდრიხ-კარლმა და მეკლენბურლის ღერცოგმა დაამარცხეს შანზი და ლე-მანსი აიღეს.

ს. პ ე ტ ე რ ბ., 3 ი ა ნ ვ. ღენერალ შანზი უკან იწევს. ექვსი დღის განძავლობაში ნემცებმა 16,000 ფრანცუზი ტყვეთ წაიყვანეს.

ს. პ ე ტ ე რ ბ., 4 ი ა ნ ვ. პარიჟიდამ დიდძალი ჯარი დაეცა ნემცებს, რომელთაც უკუაქციეს ისა.

— ღენერალ ფედერბის (ჩრდილოეთის) არმია თან და თან მატულობს.

— ღენერალ ბურბაკი იწერება: „ჩვენ წინ მივდივართ".

ს. პ ე ტ ე რ ბ. 6 ი ა ნ ვ ა რ ს. ღენერალ ბურბაკიმ დაიჭირა ქ. მონბელიარი.

— შანზის შერბურლიდამ მოემატა ახალი ჯარები.

ს. პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ი, 7 ი ა ნ ვ ა რ ს. ახალი ჯარი, რომელიც შანზის უნდა შეუერთდეს, შერბურლში დაბანაკეს.

— ლონგვის სიმაგრეს ნემცები გარს შემოეხვიენ.

# ნარევი

*
* *

მადრიდში (ესპანიაში) გამოვიდა ერთი ახალი გაზეთი, სახელათ „**ლათინური ტომების კავშირი.**" ამ გაზეთის პირველს №-ში აი რაგვარი სჯა არის მოყვანილი: „საფრანგეთში—40 მილიონი მცხოვრებია, ესპანიაში—20 მილ., იტალიაში—26, ბელგიაში—6, პორტუღალიაში—9 მილიონი,—სულ 96 მილიონი ვართ ლათინური ტომის ხალხებიო. ამას უნდა მიუმატოთ ჩვენი მეგობარი ხალხების რიცხვი: ავსტრია, ღოლანდია, შვეიცარია და საბერძნეთი, რომელნიც სულ შეადგენენ—45 მილიონს—და ბოლოს ის ხალხები, რომლებსაც ემტერებიან აგრეთვე ჩვენი მტრები—ინგლისი, ოსმალო, დანია, შვეცია და ნორვეგია—სულ 70 მილიონი სული. ყველა ესენი რომ შეერთდენ, შესდგება—211 მილიონი, და ჩვენ მოწინაალმდეგეს—პრუსიას, თავის მეგობრით, ეყოლება მარტო 110 მილიონი მცხოვრები." ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, ჩვენ რომ ლათინური ტომების და იმათი მომხრეების კავშირი შევადგინოთ, მაშინ ევროპა დაცული იქნება იმ ორი ჩრდილოეთის სახელმწიფოებისაგან, რომელთაც სხვა ხალხების და ქვეყნების დაპყრობა ჰსურთო.

*
* *

იმ გარემოებამ, რომ პარიჟი იმნაირათ არის გამაგრებული, რომ ამდენი ხანი ვერ აიღეს ნემცებმა, მიაქცია სხვა ევროპის სახელმწიფოების ყურადღება, რომელნიც აგრეთვე აპირებენ თავიანთ დედა-ქალაქების გამაგრებას. სხვათა შორის ინგლისის მმართებლობამ დანიშნა ინჯენრების კამისია, რომელმანც უნდა დაათვალიეროს ლონდონის ახლო-მახლო ადგილები და ტემზის ნაპირები და გამოიკვლიოს—სად და როგორი **სიმაგრეები** დასჭირდება **ლონდონს**, ვინიცობაა, მტრის ჯარი და ფლოტი რომ მოადგეს.

*
* *

ერთი ბელგიური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ლიონიდამ, რომ რონის დეპარტამენტში შემდგარა **თავისუფალი მსროლელების** ატრიადი, სახელად „რ ო ნ ი ს თ ა ვ ხ ე დ ი ბ ი ჭ ე ბ ი." იმათი დანიშნულება მხოლოთ ის იქნება, რომ გზაზე დაუხვდენ და წაართვან ნემცებს ხორაგისა და თოფ-იარაღის ტრანსპორტები, რომელნიც გერმანიიდამ მოაქვთ ხოლმე. ისინი არც მმართებლობის ჯამაგირს და არც არა ვითარ სხვა გვარ დახმარებას არ თხოულობენ იმისაგან; რამდონთამე პირთა გამოიღეს ფულები, რომელსაც ნემცებისაგან წართმეული ნივთების გაყიდვით დაიბრუნებენ.

*
* *

ნეაპოლში შესდგა ერთი კამიტეტი, სახელათ „**პატიოსნების სასამართლო.**" ამ კერძოობითი სასამართლოს დანიშნულება ის არის, რომ ვინც თავის თავს ვისგანმე შეურაცხყოფათ სთვლის, აქ უნდა მიიტანოს საჩივარი და ეს სასამართლო გაურჩენს იმათ სამართალს. ეს ახალი სასამართლო განწესდა იმიტომ, რომ გაუპატიურობისა და შეურაცხყოფისათვის იტალიაში საზოგადოთ და განსაკუთრებით ნეაპოლში ხშირი დუელები იყო და ბევრი იხოცებოდნენ, ხანდისხან სულ უბრალო მიზეზის გამო. ახლა კი ყველა ამ „პატიოსნების სასამართლოს" მიმართავს და დუელში გასვლა არავის არ შეუძლია.

*
* *

დაიჭერენ ნემცები თუ არა რომელსამე ქალაქსა ან სოფელს, იმწამსვე ჯარიმას დააწერენ მცხოვრებლებს; თუ მდიდარი ქალაქია ან სოფელი—რამდონსამე მილიონ ფრანკს გადაახდევინებენ, ხორაგს გარდა, და თუ ღარიბი, რამდენსამე ასს ან ათასს. აი ეს წინეთ ქ. ტულიდამ, რომელიც დიდი ხანია ნემცების ხელშია, ნემცების უფროსს ერთს სოფელში გაუგზავნია უნდერ-აფიცარი 15 სალდათით, 50 ფრანკი (15 მანეთი) გადაახდევინე იქაურებსაო. სალდათები მამასახლისთან მისულან და უთქვამთ—ასე და ასეა საქმე—50 ფრანკი უნდა მოგვცეო. სანამ ისინი მამასახლისს ელაპარაკებოდენ, საიდამაც იყო გაჩენილან 50 თავისუფალი მსროლელები, შემორტყმიან ნემცებს და ყველა დაუტყვევებიათ. ამისთანა მოქმედებისთვის ნემცებს ხშირათ აუოხრებიათ მთელი სოფლები და ქალაქებიც, ბევრიც დაუხვრეტიათ. ამიტომ ამ სოფელსაც რომ ამისთანა არა დამართნოდა რა, თავისუფალი მსროლელების უფროსს მიუცია უნდერ აფიცრისთვის ხელში ქაღალდი და კალამი და მიუწერინებია იმ უფროსთან: „თუ ნემცებმა გაბედეს ჩვენი სოფლის შურის გება და აოხრება—ყველა ტყვეებს ყურებს დავაჭრითო."

*
* *

სხვა უბედურებასთან ამ ჟამად საფრანგეთში ისეთი სიცივეებია თურმე, რომ 1854 წლის შემდეგ არავის უნახავს: ზოგიერთ ალაგებში ყინვა $15^0$—$20^0$ გრადუსამდია თურმე. ს ცივე, შიმშილი, ავათმყოფობა, ომი—წარმოიდგინეთ, რამდენი უბედურება მიადგა ახლა საფრანგეთსა და იქ მყოფ ნემცების ჯარს, რამდენი ათასი და ათი ათასი ხალხი დაიხოცება და რამდენი მშიერ-მწყურვალე და უსახლ-კარო დარჩება ყველა ამ უბედურებისაგან!...

*
* *

ავსტრიის სასახლესთან მყოფმა საფრანგეთის ელჩმა დაბეჭდა წიგნი, რომელიც იმას მოსვლია გამოჩენილი პოლშელის თ. ჩერტორიისკისაგან:

„მე შევიტყე, რომ საფრანგეთის მმართებლობას არ მოუსპია საშუალების ძლევა იმ პოლშელი შკოლებისათვის, რომელნიც პარიჟში არიან. საფრანგეთს საკუთარს გაჭირვებაში და მტერთან ბრძოლის დროსაც არ ავიწყდება სხვა ხალხების უბედურება. ამ საქმიდან ცხადათ სჩანს საფრანგეთის ხალხის ხასიათი და იმათი ზნეობითი სიმაღლე. ღმერთი დაიცვავს ამ ქვეყანას, რომელიც ბედში და უბედობაში ყოველთვის ერთნაირათ მაღალია."

*
* *

ვილაცამ მეცში ერთი პრუსიელი სალდათი მოკლა; ამ ერთი კაცის მოკვლისთვის ნემცებმა რამდონიმე კაცი დაატუსაღეს და ქალაქს 50,000 ფრანკი ჯარიმა გადაახდევინეს; ამასთანავე იმათ გამოაცხადეს, რომ, თუ მეორეთ გაბედა ვინმე ნემეცის მოკვლა და თოფის სროლა, მაშინ ქალაქს ხუთი ამოდენა ჯარიმა გადახდებაო.

*
* *

19 დეკემბერს ლონდონში მიტინგი ყოფილა და კამიტეტი ამოურჩევიათ, რომელმანც უნდა მოაგროვოს ფულები და ამ ფულებით პური და სხვა ხორაგი უნდა იყიდოს, საფრანგეთში გასაგზავნათა.

*
* *

პარიჟში ამ ჟამად კერძო საყასბოები აღარ არის; რაც საკლავი საქონელი, ან დამზადებული ხორცეული რამ იყო იქ, ყველა მმართებლობამ შეისყიდა და ის ჰყიდის ყველგანა. ეს იმისთვის მოახდინეს, რომ კერძო ვაჭრებმა ერთობ არ გააძვირონ ხორცი და ამას გარდა რომ ყველას თანასწორათ ერგოს საზრდო.

*
* *

შესანიშნავია, რომ არასოდეს არ ყოფილა ისე იშვიათად ქურდობა და ავაზაკობა და კაცის კვლა პარიჟში, როგორც ახლა. რასაკვირველია, როცა ყველას გული მამულის სიყვარულით და იმის დაცვის ფიქრით არის აღგზნებული, მაშინ ამ გულში არავითარ ბოროტ აზრს არ ექნება ადგილი.

*
* *

სარატოვში ახალი ინსპექტორი დაუნიშნავთ სახალხო შკოლებისა. პირველი განკარგულება ამ ინსპექტორისა ის ყოფილა, რომ უბრძანებია შკოლების მასწავლებლებისთვის—ახლავე ყველამ წვერი და ულვაში მოიპარსეთო. ერთს მასწავლებელს ამაზე უთქვამს, რომ, უფ. ინსპექტორო, სწავლა წვერებზე და ულვაშებზე სრულებით არ არის დამოკიდებულიო: შეიძლება წვერიანმა კაცმა კარგათ ასწავლოს და უწვერ-ულვაშომ ცუდათო! ინსპექტორი ძალიან გამწყრალა ამ სიტყვებზე და მრისხანეთ დაუძახნია: „ჩემი ბრძანება ხმის ამოუღებლათ უნდა აღსრულდეს! მიდებ-მოდების არა მეცოდინება რაო!"

*
* *

# განცხადება

თფილისში იყიდება და მალე ქუთაისსაც გაიგზავნება

**გურამიანი**

ა ნ უ

## დავითიანი

დავით გურამიშვილის თხზულება

გ. წერეთლის წინასიტყვაობით: „დავით გურამიშვილი და იმის წინა-დროები."

ფ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი

---

**თფილისს** დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში და წიგნების მაღაზიებში და **ქუთაისს** გერასიმე ქალანდარისშვილთან, და საგუბერნიო სტამბაში ისყიდება

## საუკეთესო ცოდნა

(ბუნების მეცნიერებიდგან) თხზულება სობოლშჩიკოვისა, ნათარგმნი და გამოცემული „სასოფლო გაზეთის" რედაქციისაგან.—

ფ ა ს ი ხ უ თ ი შ ა უ რ ი.

---

ისყიდება თფილისს ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და ი. გოგებაშვილისას.

## ქართული ანბანი

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან

**ფასი ორი შაური**

## ბუნების კარი

საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის საქართველოს კარტითა შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

**ფასი სამი აბაზი და ერთი შაური**

ალადათოვის მაღაზიაში ისყიდება.

## ბავშვების მოვლა

დარიგება ყმაწვილების შენახვისა თხზულება ნგლისის კოროლევის დოქტორის ჰომბისა.

**ფასი ათი შაური**

ვისაც „**ტივით მოგზაურობა**"—კომ. ანტონოვისა—აქვს, უმორჩილესად ვთხოვთ მოგვყიდოს, ან რამდონიმე დღით გვათხოვოს. (ადრესი: „დროების" რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში.)

---

ენფიანჯიანცის წიგნების მაღაზიაში ისყიდება:

## ჩონგური

ლექსების კრება ნ. ბარათაშვილისა ილ. ჭავჭავაძისა, აკ. წერეთლისა და სხვათა.

**ფასი ერთი მანეთი**

## საქართველოს ისტორია

შედგენილი თეიმურაზ ბატონიშვილისა

**ფასი ერთი მანეთი**

---

# „სასოფლო გაზეთის"

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

მომავალს წელს „სასოფლო გაზეთი" გამოვა იმავე პროგრამმით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა. წინა წლებში ჩვენ გვინდოდა სამეცნიერო და სამეურნეო განყოფილებაში სტატიები სურათებითაც განგვემარტებინა; მაგრამ რა ღონისძიების იმედიც გვქონდა, ის არ აგვისრულდა და ამის გამო ჩვენმა ანგარიშმა ფუჭათ გაიარა. ორიოდე სურათი კი დავბეჭდეთ შარშან, მაგრამ მარტო ამით რა გახდებოდა. მომავალს წელს იმედი გვაქვს, როგორც სურათებით, ისე თვითონ სტატიების ღირსებით გამოვისყიდოთ, რაც გასულს, წლებში დაგვაკლდა. რაიცა შეეხება ხელის მოსაწერს ფასს და სხვა პირობებს, ისევ ისე დარჩება, როგორც აქამომდე ყოფილა.

უმთავრესი ნაკლულევანება „სასოფლო გაზეთისა" ის იყო, რომ მკვირცხლად არ განსჯიდა იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც ახლანდელს ჩვენს მდგომარეობას შეეფერება, მაგრამ მომეტებულ ნაწილათ რედაქციაზე არ იყო დამოკიდებული ამ ნაკლულევანების მოკვეთა. შემდეგში კი რამდენიც შეიძლება, მოხერხებას არ დავაკლებთ, რომ ეს ნაკლულევანება შევამციროთ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა „**სასოფლო გაზეთზე**" შ ე ი ძ ლ ე ბ ა:

თფილისში „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში დუბილირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, ხატისოვის სახლში სერგეიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—გერასიმე ქალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ ღოლობერიძესთან, სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიათ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ контору Редакціи „Сельской Газеты," на углу Сололакской и Сергіевской улицъ, д. Хатисова.

**ხელმოსაწერი ფასი:**

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ერთის წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში | 3 მან. | 4 მან. |
| ნახევარი წლისა | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი და გვარი ადგილ-სამყოფი.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Января 1871 г.* ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.